პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 10 ივლისი, 1943 წ. № 146 (6771). ფასი 20 კაპ.

უფრო მეჯი საბრძოლო ფექნიკა სახელოვან საბჭოთა მეომრებს!

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება მრეწველობის მუშაკთა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის ივნისის შედეგები. ჩვენი ქვეყანა კიდევ და კიდევ გაიგებს თავისი საუკეთესო ქარხნებისა და ფაბრიკების შესახებ, ხოლო წითელი არმია გაიგებს გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლაში თავის საუკეთესო თანამემწეთა სახელებს.

შეჯიბრების შედეგები ქვეყნდება იმ მომენტში, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილია ფრონტის იმ უბნისაკენ, სადაც ერთგვარი სიწყნარის შემდეგ კვლავ გაჩაღდა გაფთრებული ბრძოლები ჰიტლერულ ურდოებთან. 5 ივლისს გერმანელებმა დაიწყეს დიდი შემოტევა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით მათ თავი მოუყარეს დიდძალ ტანკებს, ქვეით ჯარსა და ავიაციას და დასძრეს ისინი ჩვენი ჯარების წინააღმდეგ. თავიანთი შემოტევის უკვე პირველი სამი დღის განმავლობაში გერმანელებმა ფრონტის ვიწრო უბნებზე ბრძოლაში ჩააბეს 30 დივიზია, მათ შორის 15 სატანკო. გავიხსენოთ, რომ მოსკოვზე გენერალური შემოტევის დროს ჰიტლერულმა სარდლობამ 13 სატანკო დივიზია ჩააბა ბრძოლაში.

მარტოოდენ ეს შედარება მოწმობს გაჩაღებულ საომარ მოქმედებათა მასშტაბს და მტრის მიერ მოფიქრებული და დაწყებული ახალი შემოტევის გაქანებას. გერმანელები ვარაუდობდნენ სწრაფად გაეტეხათ საბჭოთა თავდაცვა, გარემოეცვათ და გაენადგურებინათ ჩვენი ჯარები, რომელნიც კურსკის შვერილის რკალზე იყვნენ განლაგებულნი.

მტერს კბილები ჩაამტვრიეს. გერმანელთა ახალ შემოტევას მოუმზადებელი როდი შეხვდა ჩვენი ჯარები. წითელმა არმიამ მაგარი დარტყმა აგემა მტერს. ბრძოლების პირველი ოთხი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს რამდენიმე ათეული ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ოთხი დღის განმავლობაში დაზიანებულ და მოსპობილ იქნა გერმანელთა 1.843 ტანკი და ჩამოგდებულ იქნა მტრის 810 თვითმფრინავი. ჩაიფუშა გერმანელთა ცდა—ერთი ხელის მოსმით აეღოთ კურსკი. წითელი არმია მტკიცედ ინარჩუნებს დაკავებულ ზღუდეებს. ბელგოროდის მიმართულების მხოლოდ ზოგიერთ უბნებზე მოწინააღმდეგემ დიდი ზარალის ფასად შესძლო სოლოვით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში.

მთელი საბჭოთა ხალხი მოელვარებითა და სიამაყით ადევნებს თვალყურს, თუ როგორ ფეერიებს ჩვენი მშობლიური, საყვარელი წითელი არმია გერმანელთა ჯარების ჯავშნიან მოძალებას. გაჩაღებული ბრძოლა დამაჯერებლად მოწმობს ჩვენი არმიის ძალების ზრდას, ჩვენი მებრძოლებისა და მეთაურების მაღალ ოსტატობას, საბჭოთა მეომრების გამბედაობასა და სიმამაცეს, უდიდეს მედგრობასა და თავდადებას, და წითელი არმიის ტექნიკურ ძლიერებას. ოთხი დღის განმავლობაში მტრის 1.843 ტანკის დაზიანება და მოსპობა, 800-ზე მეტი თვითმფრინავის ჩამოგდება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელთ გვექნებოდა საუცხოო შეიარაღება, მძლავრი არტილერია, პირველხარისხოვანი ავიაცია. მრეწველობის ყველა მუშაკთ, და პირველ რიგში მის მოწინავეებს — სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ — შეუძლიათ უთხრან თავიანთ თავს: ჩვენ ტყუილად არ გვიმუშავია ჩვენი სამშობლოსათვის!

შეჯიბრების მოწინავეთა შორის, რომელთაც ივნისში მუშაობისათვის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშები მოიპოვეს, არიან ქარხნები, სადაც დირექტორებია ამხ. ელიანი, ფომინი, გონორი, ტარასენკო, ნევსტრუევი, პრიგულსკი და სხვანი, რომელთა ზარბაზნები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები და ყუმბარები ანადგურებენ გერმანელთა ტანკებს, ყლეტენ საძულველ ჰიტლერელებს. შეჯიბრების მოწინავეთა შორის, რომელთაც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი დროშები მოიპოვეს, არიან საავიაციო ქარხნები, სადაც დირექტორებია ამხ. ბელიანსკი, აბრამოვი, აგაჯანოვი და სხვანი, რომელთა მოიერიშენი, ბომბდამშენები, გამანადგურებლები თავიანთი მასირებული დარტყმებით ძმიმედ აზარალებენ მტერს.

ზარბაზნები და თვითმფრინავები, ნაღმსატყორცნები და საომარი მასალა გაკეთებულია მუშათა კლასის მებრძოლი რაზმის—ჩვენი მეტალურგების მიერ ჩამოსხმული ფოლადისაგან. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის კომბინატის მეტალურგებმა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სამი დროშა მოიპოვეს. თავიანთი გმირული მუშაობით მაგნიტოგორსკელები ზრდიან სახელს სტალინური ურალისას, რომელიც ლენინის მხრივ ჩვენი ფრონტის საყრდენი გახდა.

მთელი საბჭოთა ზურგი უდიდესი ენერგიით მუშაობს წითელი არმიისათვის დახმარების გასაძლიერებლად, ჩვენი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების შესასრულებლად. გერმანელთა ახალმა შემოტევამ გამოიწვია საბჭოთა ხალხში უფრო მეტი მისწრაფება—გაძლიეროს თავისი მშობლიური წითელი არმია შეიარაღებისა და საომარი მასალების, საჭურვლისა და სურსათის ახალი ნაკადებით.

ვერ მიაღწიეს რა წარმატებას თავიანთი გადამწყვეტი შემოტევის პირველ დღეებში, ჰიტლერის ბანაკის გაძვერუებმა მორიგ ფანდს მიმართეს, საკუთარ უარჰყვეს გერმანელთა შემოტევის დაწყება. გუშინ საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოააშკარავა ჰიტლერელთა შულერული მახინაცია. იმავე დროს, როგორც ნათქვამია საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში, „არასწორი იქნებოდა სათანადოდ არ შეგვფასებინა ძალები გერმანელთა ჯარებისა, რომლებიც დიდ შემოტევას ეწევიან ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით. გერმანელთა ძალები აქ დიდია. დღეს ჯერ კიდევ ადრეა საბოლოო დასკვნა გავაკეთოთ ბრძოლების შედეგის შესახებ“.

დიდმა სტალინმა გააფრთხილა მთელი ხალხი და წითელი არმია, რომ მტერი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული და რომ ამატომ სსრ კავშირის ხალხებს და მათ წითელ არმიას, ისევე როგორც ჩვენს მოკავშირეებს და მათ არმიებს კვლავ მოელით სასტიკი და მძიმე ბრძოლა ჰიტლერელ ავაზაკებზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომი, როგორც აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი თავის საპირველმაისო ბრძანებაში, მოითხოვს, რათა წითელმა არმიამ მიიღოს უფრო მეტი ქვემეხები, ტანკები, თვითმფრინავები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ნაღმსატყორცნები, საომარი მასალა, საჭურველი, სურსათი. გერმანელთა ახალი შემრტევა ცხადჰყოფს, რომ მტერს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით მოეპოვება ტექნიკა. იგი რომ შევეფასოთ, ჩვენმა ზურგმა უნდა აძლიოს წითელ არმიას უფრო მეტი საბრძოლო ტექნიკა და ძასთან კიდევ უფრო მძლავრი ტექნიკა.

წითელი არმია გამანადგურებელ წინააღმდეგობას უწევს მტერს. ამ წინააღმდეგობის ძალა უფრო გაიზრდება. რაც უფრო მეტ იარაღს მიიღებენ საბჭოთა მეომრები, მით უფრო მაგარი იქნება ჩვენი ჯარების დარტყმები გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ. სანამ მტერი განადგურებული არ არის, ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დავმშვიდდეთ, და ყოველი საბჭოთა ადამიანი მუდამ გამსჭვალული უნდა იყოს ჩვენი სამშობლოს ბედისათვის პასუხისმგებლობის წმიდა გრძნობით.

სრულიად-საკავშირო შეჯიბრების მოწინავეთა ქება-დიდებასთან ერთად პარტიულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ მოწინავეთა გვერდით ჯერ კიდევ არსებობენ ჩამორჩენილი ქარხნები. საუკეთესო ქარხნების სახელით არ შეიძლება ჩამორჩენილ საწარმოთა დაფარვა. ომიანობის დრო მოითხოვს ბოლო მოეღოს შემარიგებლურ დამოკიდებულებას გეგმის შეუსრულებლობისადმი, პროდუქციის ხარისხის მხრივ ტექნიკურ პირობათა დარღვევისადმი, დაუდევარი და უკულტურო მუშაობისადმი, ასორტიმენტის გეგმის შეუსრულებლობისადმი, პროდუქციის გამოშვების გრაფიკის დარღვევისადმი და სხვ. ფრონტზე საომარი მოქმედების გაცხოველებამ უნდა გააჯავროთოს სამეურნეო ხელმძღვანელები, წარმოების მეთაურები, პარტიული მუშაკები. არ შეიძლება ხვალისთვის გადასდო ის სამუშაო, რომლის გაკეთებაც დღეს შეიძლება. ჩვენთვის დრო ახლა მეტად ძვირად ღირს! წარმოებაში დაკარგული ყოველი დღე ამცირებს ჩვენს შესაძლებლობებს ფრონტისადმი დახმარების გაძლიერების საქმეში. ხალხი და წითელი არმია ვერ აპატიებენ და არც აპატიებენ ჩამორჩენას არც ერთ ქარხანას, არც ერთ ფაბრიკას.

სამხედრო შეკვეთები სამშობლოს შეკვეთებია. ჩვენ უკვე მესამე წელია ვმუშაობთ ომის საჭიროებისათვის. ჩვენ ვისწავლეთ ფრონტისათვის შრომა. მით უფრო მეტი მოთხოვნების წაყენება შეუძლია წითელ არმიას ყოველი ქარხნისადმი, ყოველი მუშისა და ინჟინრისადმი, რომ ისინი სულ უფრო მეტი რაოდენობით იძლეოდნენ უნაკლო ხარისხის პროდუქციას. მაღალხარისხოვანი მუშაობა ყოველი საბჭოთა ადამიანის ჩვევად უნდა გადაიქცეს, რაც უკეთესად ვიმუშავებთ ზურგში, მით უფრო მეტი წარმატებები იქნება მიღწეული ფრონტზე.

ბრძოლები გრძელდება. არც დღისით, არც ღამით, არ სწყდება ქვემეხთა გუგუნი. მტერს ახალი დივიზიები გამოჰყავს ბრძოლის ველზე. მაშ ფხიზლად ვიყოთ! კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ ფრონტისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის სრულიად-საკავშირო შეჯიბრების სახელოვანი დროშა! მივცეთ წითელ არმიას ყოველივე ის, რაც საჭიროა გერმანელ ოკუპანტთა გასანადგურებლად!

„პრავდის“ მოწინავე, 9/VII.

კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდების ზრდა

წლითი-წლობით მტკიცდება კოლმეურნეობების ეკონომიური ძლიერება. ამის ცხადი მაჩვენებელია სვერდლოვსკის ოლქში კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ზრდა. 1942 წელს სასოფლო-სამეურნეო ბანკში არტელების მიმდინარე ანგარიშზე შევიდა 36.000.000 მანეთი. მიმდინარე წლის ხუთი თვის განმავლობაში კი კოლმეურნეობებმა შეიტანეს 26 მილიონი მანეთი.

მიღებული შემოსავლით კოლმეურნეობები აგებენ ახალ შენობებს, ადიდებენ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობას, აუმჯობესებენ მის ჯიშინობას.

კრასნოუფიმსკის რაიონში პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 814.000 მანეთის ნაცვლად წარშინ შემოსავალი მიიღო 1.200 ათასი მანეთი. განუყოფელი ფონდის ანგარიშზე კოლმეურნეობამ აიშენა ახალი დაბა 15 სახლით, ცხენისა და პირუტყვის ბაკები, სამი საღორე, საწყობები: წელს კოლმეურნეობამ შეიძინა ლოკომობილი, აიშენა ხე-ტყის სახერხი. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
9 ივლისის ოპერაციული ცნობა

9 ივლისის განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან, რომელიც განაგრძობდა შემოტევას ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალებით. მთელი დღის განმავლობაში ჩვენი საჰაერო ძალები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის მრავალრიცხოვან ავიაციასთან. ჩვენი ავიაცია, უზრუნველჰყოფდა რა თავის ჯარებს მტრის ავიაციის თავდასხმებისაგან, იმავე დროს მძლავრი იერიშები მიჰქონდა მტრის შემომტევი ჯარების საბრძოლო წყებებზე და ბომბავდა მათ.

არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 193 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის მიერ ჩამოგდებულია მტრის 94 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლ-კურსკის მიმართულებით მოწინააღმდეგეს 4 დღის შემოტევის განმავლობაში მძიმე ზარალი მოუვიდა ტანკებისა და ცოცხალი ძალის მხრივ და წარმატებას ვერ მიაღწია. დღეს დილიდან ჰიტლერელებმა თავიანთი დარტყმა ფრონტის მეზობელ უბანზე გადაიტანეს. გერმანელებმა ორი ქვეითი დივიზიითა და ერთი სატანკო დივიზიით გაძლიერეს შეფერთხილი შენაერთები და დილიდან მთელი რიგი გააფთრებული იერიშები მოიტანეს. გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლები, რომლებიც ხშირად ხელჩართულ შეტაკებად იქცეოდა. ჰიტლერელების ყველა იერიში ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს.

ორიოლ-კურსკის მიმართულების სხვა უბანზე 6 შენაერთის მებრძოლებმა მოიგერიეს 13 იერიში მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარისა, რომლებიც ავიაციის დიდი ძალების დახმარებით მოქმედებდნენ. მტკიცედ ინარჩუნებენ რა მტრის იერიშებს, სამი დღის განმავლობაში დაიზიანეს და დასწვეს ჟერმანელთა 20-ზე მეტი ტანკი. ლეიტენანტმა ამხ. ზოლოტარენკომ ტყვიამფრქვევის მარჯვე ჯერებით 200-მდე ჰიტლერელი მოსპო. ერთი დღის განმავლობაში მფრინავმა უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. გულაევმა გააფთრებულ საჰაერო შეტაკებებში ჩამოაგდო გერმანელთა 2 ბომბდამშენი და 2 ავიაგამანადგურებელი.

უმცროსმა ლეიტენანტმა ამხ. შპაკმა მოსპო მტრის 4 თვითმფრინავი. გერმანელთა მე-5 თვითმფრინავი ამხ. შპაკმა ამავე დღეს სხვა მფრინავთან ერთად ჩამოაგდო. 6 შენაერთის მფრინავებმა ორი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის 77 თვითმფრინავი ჩამოაგდეს და მარტო ერთი თვითმფრინავი დაჰკარგეს, რომლის პილოტიც პარაშუტით გადარჩა. საჰაერო ბრძოლაში დაზიანდა უმცროს ლეიტენანტ ამხ. კოლოსკოვის თვითმფრინავი. მფრინავი მტრის ზურგში დაეშვა. გერმანელ კავალერისტთა რაზმი ძირდაშვების ადგილისაკენ გაეკანა. მფრინავი ამხ. ნიკოლაევი ამხანაგის საშველად გაეშურა და თავისი თვითმფრინავი კოლოსკოვის დაზიანებული მანქანის გვერდით დაუშვა. მოახლოებული ჰიტლერელების თვალწინ მფრინავებმა ცეცხლი წაუკიდეს დაზიანებულ თვითმფრინავს და ორივენი ნიკოლაევის მანქანით გაფრინდნენ. მალე ისინი მშვიდობით დაეშვნენ თავიანთ აეროდრომზე.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 3 ქვემეხი და დაჯარიეს 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. საბჭოთა მფრინავებმა მოსპეს ტერის 60-მდე ავტომანქანა და ააფეთქეს საომარი მასალის 2 საწყობი. საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 20 თვითმფრინავი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენი ნაწილები არტილერიას უშენდნენ მოწინააღმდეგეს. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის სანაღმტყორცნო ბატარეა, დაზგრეულია 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. აფეთქებულია 5 საწყობი საომარ მასალიანად. ერთ უბანზე გერმანელთა ასეული ცდილობდა დაეზვერა ჩვენი პოზიციები. ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით ჰიტლერელები გაფანტულ იქნენ ჩვენი თავდაცვის წინა კიდის მისადგომებთან.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე ქვეგანაყოფმა მაიორ ამხ. გლაზკოვის მეთაურობით არტილერიის ცეცხლითი თავდასხმის შემდეგ იერიში მიიტანა გერმანელთა დასაყრდენ პუნქტზე. ჩვენი მებრძოლები სანგრებში შეიჭრნენ და ხელჩართული შეტაკება გაუმართეს ჰიტლერელებს. ქვეგანაყოფის მებრძოლებმა დაიკავეს დასაყრდენი პუნქტი და ჭოსპეს გერმანელთა 120-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 24 საცეცხლე წერტი, 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 2 სანაღმტყორცნო ბატარეა და 6 ტყვიამფრქვევი. წამოღებულია დაელა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პოეტასკის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა გაანადგურა დასახლებულ პუნქტში დაბანაკებული გერმანელთა გარნიზონი. პარტიზანებმა გასწყვიტეს 50-მდე გერმანელი ჯარისკაცი. პარტიზანთა ჯგუფმა ააფეთქა ორი საცავი, რომლებშიც 200 ტონა საწვავი იყო. პარტიზანმა ამფეთქებლებმა ლიანდაგიდან გადაადგეს ფრონტის ხაზისაკენ მიმავალი გერმანელთა მატარებელი. მოსპობილია ორთქლმავალი, 7 ვაგონი ჯარისაკაცებიანად და ოფიცრებიანად და 5 პლატფორმა საზენიტო ქვემეხებიანად. შაშხანების ზალპური ცეცხლით პარტიზანებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-189“.

* * *

ორიოლ-კურსკის მიმართულებით ტყვედ წამოყვანილია გერმანიის 86-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა ჯგუფი. გერმანელთა 177-ე პოლკის მე-5 ასეულის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა ბაუმჰოფმა განაცხადა: „ჩვენი შემოტევის პირველი დღე არასდროს არ დამავიწყდება. არავითარი იმედი არა მქონდა ბრძოლიდან ცოცხალი გამოვსულიყავ. ჩვენს პოლკს ძალიან მძიმე ზარალი მოუვიდა. დივიზიის სხვა პოლკები კიდევ უფრო დაზარალდნენ. 5 ივლისის უკვე შუადღისათვის 216-ე პოლკმა, რომელიც რუსთა თავდაცვის გასარღვევად იყო გამოყვანილი, პირადი შემადგენლობის ორი მესამედი დაჰკარგა, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. პოლკის უბადრუკი ნაშთები მეორე ეშელონში გადაიყვანეს. სანიტრები ვერ ასწრებდნენ დაჭრილების გამოყვანას. ერთმა სანიტარმა უნტერ-ოფიცერმა მითხრა, შესახვევი პუნქტი სასაკლაოს ეზოს მოგვაგონებსო“.

ბელგოროდის მიმართულებით 6 ივლისს წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 320-ე ქვეითი დივიზიის 587-ე პოლკის გერმანელმა ჯარისკაცებმა განაცხადეს: „შემოტევის პირველსავე დღეს 587-ე პოლკმა ჯარისკაცთა ნახევარზე მეტი დაჰკარგა. მესამე ბატალიონში მოკლულია ასეულთა ყველა მეთაური. 320-ე დივიზიის მეთაური გენერალ-მაიორი პოსტელი დაჭრილია. ძველი ჯარისკაცები, რომლებიც ომში მონაწილეობდნენ დასაწყისიდანვე, ირწმუნებიან, არც ერთს წინანდელ შეტევაში გერმანელთა ჯარებს ჯერ კიდევ ისეთი ზარალი არა ჰქონიათ, როგორიც ამ დღეებში ჰქონდათო“.

საბჭოთა მფრინავების დარტყმები

მოქმედი არმია, 6 ივლისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ორიოლ-კურსკის მიმართულების ერთ-ერთ უბანზე გერმანელებმა საერიოდ გამოუშვეს თავიანთი ტანკების რამდენიმე ათეული. მტრის შესახვედრად საბრძოლებმა გაჰგზავნა მოიერიშეებისა და ბომბდამშენების ჯგუფი. მოწინააღმდეგის საბრძოლო წყებები ინტენსიურად იქნა დაბომბილი ჰაერიდან. ვერც მტრის საზენიტო ბატარეების ცეცხლმ, ვერც მტრის ავიაგამანადგურებლების წინააღმდეგობამ ვერ შესძლო ჩაეშალა ჩვენი მფრინავების წარმატებითი მოქმედება. მტრის სატანკო კოლონას დიდი ზარალი მოუვიდა და გაფანტულ იქნა ჯერ კიდევ ჩვენი წინა კიდის მისადგომებამდე.

მეზობელ უბანზე საბჭოთა 14-მა მოიერიშემ მაიორ ლისენკოს ხელმძღვანელობით იერიში მიიტანა გერმანელთა ტანკებისა და ავტომანქანების სხვა კოლონაზე. ეს იერიში იმდენად სწრაფი იყო, რომ გერმანელებმა აქტიური წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ მოახერხეს. მაიორ ლისენკოს მფრინავებმა მწყობრიდან გამოიყვანეს გერმანელთა 6 ტანკი, 16 ავტომანქანა და ჩაახშეს 8 საზენიტო ქვემეხის ცეცხლი.

დილადანვე ჰაერში ხან აქ, ხან იქ ჩაღდება გააფთრებული ბრძოლები ჩვენსა და მტრის ავიაციას შორის. ჩვენი 8 ავიაგამანადგურებელი გვარდიის უფროს ლეიტენანტ რადნიკოვის მეთაურობით გერმანელთა 70 თვითმფრინავს შეხვდა. ეს იყო ბომბდამშენთა ჯგუფი, რომელიც ავიაგამანადგურებელთა დახმარებით საბჭოთა ჯარების დასაბომბავად მოდიოდა. საბჭოთა მფრინავებმა უზრუნველჰყვეს თავიანთთვის სწრაფი და მოულოდნელი მანევრის უპირატესობა და მოახერხეს მტრის ჯგუფის გაფანტვა. გაჩაღებულ ბრძოლაში გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა რადნიკოვმა ჩამოაგდო „ჰაინკელ-111“ და ცეცხლი წაუკიდა „იუნკერს-88“-ს. მისი ჯგუფის მფრინავებმა ყიგალოვმა, შურბასმა და ფილიმონოვმა თითო „იუნკერსი“ ჩამოაგდეს. ამ ბრძოლიდან ჯგუფი უზარალოდ გამოვიდა.

გ. სერგეევი

ჭვავის ხელოვნური დამტვერვა

ივანოვოს ოლქის ალექსანდროვის, გოროხოვეცისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მრავალი კოლმეურნეობა ატარებს ჭვავის ხელოვნურ დამტვერვას. ამ ღონისძიებისათვის შედარებით ნაკლები მუშახელის საჭიროება მოსავლიანობას ზრდის საშუალოდ ორი-ორნახევარი ცენტნერით ჰექტარზე.

ალექსანდროვის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელების „შესტნადცატ ლეტ ოკტიაბრიას“, „ზარია სოციალიზმას“ და „ვოსხოდის“ წევრებმა გადასწყვიტეს წელს ჩაატარონ ჭვავის ნათესის მთელი ფართობის ხელოვნური დამტვერვა. (საკდესი).

ახალი სასოფლო სკოლები

რსფსრ 37 მხარეში, ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკაში შენდება 112 სასოფლო სკოლა. ამ სკოლებში 28.000 ბავშვი ისწავლის.

მოსკოვის ოლქის მთელ რიგ სოფლებში უკვე მთავრდება ახალი სასკოლო შენობების მოწყობა. ივლისში მზად იქნება 280-ადგილიანი სკოლა პოდოლსკის რაიონის დაბა შჩერბინკაში, დაიწყო 400-ადგილიანი სკოლის შენობის მოწყობა პუშკინოს რაიონის სოფელ აშუკინოში, ზაგორიანის სკოლისა შჩელკოვის რაიონში, და სხვ. (საკდესი).

საბჭოთა კავშირში
ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის ახალი შრომები

ადმოსავლეთ რაიონებში ევაკუირებული ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა და ლაბორატორიამ დაამთავრეს მთელი რიგი სამუშაოები, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო და თავდაცვითი მნიშვნელობა აქვთ.

ბელორუსიის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა დაამუშავა აგროტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც ადიდებენ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობას უზბეკეთის პირობებში. კოლოიდების ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიამ

* * *

ლენინგრადში გაიხსნა ფილიალი ლენინგრადის კონსერვატორიისა, რომელიც ევაკუირებული იყო ტაშკენტში 1941 წლის შემოდგომაზე. განახლდა მეცადინეობა ვოკალურ, სიმღერკესტრო და სხვა ფაკულტეტებზე.

* * *

1943 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე სახელმწიფომ მრავალშვილიან დედებზე გასცა დახმარება 370 მილიონი მანეთის რაოდენობით.

(საკდესი).

ULIANOVSKI

ვ. ი. ლენინის სახელობის 1-ლი გვარდიული წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი სატანკო სასწავლებლის უფროსს საჯანკო ჯარების გენერალ-მაიორს ამხანაგ კაშუბას

ვულოცავ **ვ. ი. ლენინის** სახელობის 1-ლი გვარდიული წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი სატანკო სასწავლებლის მეთაურთა, წითელარმიელთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობას 25 წლისთავს, მთავრობის მაღალ ჯილდოებს და ვუსურვებ ახალ წარმატებებს გვარდიის სატანკო ნაწილებისთვის მეთაურთა კადრების მომზადების საქმეში.

თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი
ი. სტალინი

ულიანოვსკის საჯანკო სასწავლებლის XXV წლისთავი

ოცდახუთი წელი შესრულდა, რაც არსებობს **ვ. ი. ლენინის** სახელობის 1-ლი წითელდროშოვანი სატანკო სასწავლებელი ულიანოვსკში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, გვარდიის სატანკო ნაწილებისათვის მეთაურთა კადრების მომზადებაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის და სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებისათვის, სასწავლებელი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და თავდაცვის სახალხო კომისარიატის მიერ გადაკეთებულია გვარდიის სატანკო სასწავლებლად.

სასწავლებლის მთელი რიგი მუშაკები დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით. (საკდესი).

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სამკერდე ნიშნის „წარჩინებული ზო ფერის“ და „წარჩინებული მეგზევეს“ დამტკიცების შესახებ

წითელი არმიის საავტომობილო და საგზაო სამსახურის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის იმ პირთა წახალისების მიზნით, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს წითელი არმიის საავტომობილო და საგზაო სამსახურის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის „წარჩინებული ზოფერი“ და „წარჩინებული მეგზევეს“ ნიშნები.

2. დამტკიცდეს დებულებანი სამკერდე ნიშნების „წარჩინებული ზოფერის“ და „წარჩინებული მეგზევეს“ შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 8 ივლისი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სამკერდე ნიშნების „წარჩინებული მზარეულის“ და „წარჩინებული მცხობელის“ დამტკიცების შესახებ

წითელი არმიის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობიდან იმ მზარეულთა და პურისმცხობელთა წახალისების მიზნით, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს წითელი არმიის სასურსათო მომარაგების სამსახურის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის ნიმუშები სამკერდე ნიშნებისა: „წარჩინებული მზარეულის“ და „წარჩინებული მცხობელი“.

2. დამტკიცდეს დებულებანი სამკერდე ნიშნების „წარჩინებული მზარეულისა“ და „წარჩინებული მცხობელის“ შესახებ.

3. „წარჩინებული მზარეულის“ და „წარჩინებული მცხობელის“ ნიშნებით დაჯილდოების უფლება მიეცეთ პოლკებისა და შენაერთების მეთაურებს, არმიის სასურსათო მომარაგების განყოფილებათა უფროსებს, ფრონტებისა და სამხედრო ოლქების სასურსათო მომარაგების სამმართველოთა უფროსებს და წითელი არმიის სასურსათო მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 8 ივლისი.

საჰაერო ბრძოლები ორიოლ-კურსკის მიმართულებით

მოქმედი არმია, 8 ივლისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ბრძოლების რაიონში განუწყვეტლივ სწარმოებს სასტიკი საჰაერო შეტაკებანი. ორივე მხრიდან ამ გაფთრებულ შეტაკებებში ასობით თვითმფრინავი მონაწილეობს. მარტო ერთი დღის განმავლობაში ერთ-ერთი ჩვენი ავიაშენაერთის მფრინავებმა 81 საჰაერო ბრძოლა ჩაატარეს. საბჭოთა პილოტებმა მტრის 110 ბომბდამშენი და ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდეს.

მტრის ყველა ცდა—მოიპოვოს ბატონობა ჰაერში იფუშება. გერმანელები ჩვენს პოზიციებზე ჰგზავნიან ბომბდამშენთა დიდ ჯგუფებს ავიაგამანადგურებელთა ძლიერი დახმარებით. მაგრამ მათ გზას უჭრიან საბჭოთა მფრინავები და სწრაფი იერიში მიაქვთ მათზე.

მტრის შემოტევის მოგერიებისას, მფრინავები მამაცობისა და გულადობის მაგალითებს გვიჩვენებენ. ფაშისტთა ბომბდამშენების ჯგუფის წინ მოდიოდა 30 „ფოკე-ვულფ-190“. ჩვენი საბრძოლო წყებების თავზე მოპატრულე რვა ავიაგამანადგურებელი წამყვანის—გვარდიის კაპიტან ბორისოვის მეთაურობით მტრის შესახვედრად გაეშურა. ხანმოკლე შეტაკებაში საბჭოთა მფრინავებმა მტრის 5 მანქანა ჩამოაგდეს, დანარჩენები კი გაჰფანტეს.

საბჭოთა მეომრების სიმამაცე

ბელგოროდის მიმართულება, 8 ივლისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან).

საბჭოთა კავშირის გმირის სოფელში

კოლმეურნეთა მიტინგი სოფ. ნიგვზიანში. მიტინგზე სიტყვას ამბობს სოფ. ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. მურვანიძე

ფოტო რ. აკოფოვისა.

საბჭოთა კავშირის გმირს, სერჟანტ ნიკოლოზ ივანეს-ძე გოგიჩაიშვილს

ლანჩხუთის რაიონის (საქართველოს სსრ) სოფ. ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი

ჩვენო სასიქადულო შვილო, ნიკოლოზ!

უსაზღვრო სიხარული, შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება და ღრმა სიამაყის გრძნობა გამოიწვია ჩვენში, შენი მშობლიური სოფლის ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა შორის სასიხარულო ცნობამ, რომ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მოგენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და ვაკაცური მკერდს გამშვენებს სამაყო ჯილდო—ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი".

მთავრობის ეს მაღალი ჯილდო, რომელიც შენ მოიპოვე ჩვენი დიადი სამშობლოს დაუძინებელ და ბარბაროს მტრებთან ბრძოლებში, გვიორკეცებს ენერგიას ახალი შრომითი მიღწევებისათვის აქ, ზურგში, რათა ყოველმხრივ დავეხმაროთ სახელოვან წითელ არმიას ფაშისტი მხეცების საბოლოო განადგურებაში.

სამამულო ომის დღეებში ჩვენი კოლმეურნეობა კიდევ უფრო განმტკიცდა, ამას ჩვენ მივაღწიეთ ზურგში თავდადებული შრომით, დიდი სტალინის საარეულმაინო ბრძანებას ჩვენ ვუპასუხეთ შრომის ნაყოფიერების ზრდით.

ჩვენ მივიღეთ ცნობები ჩვენი კოლმეურნეობიდან ფრონტზე წასულ პატრიოტთა სიგმირო სამეებზე. ბერრმა მათგანმა—ივან აფხაზავამ, დიმიტრი ქურიძემ, ვანო კუკულავამ, კარლო აფხაზავამ და სხვ. უკვე დაიმსახურეს მთავრობის მაღალი ჯილდოები—ორდენები და მედლები. ეს ჩვენ აღვავფრთოვანებს ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

აქ, ზურგში, საკოლმეურნეო პლანტაციებსა და მინდვრებზე შრომაში გამოიჩენენ ახალი კაცრები. სოფლის წარჩინებული ადამიანები გახდნენ ჩვენი კოლმეურნე ქალები შუტუ რუსაძე, რომელიც დაჯილდოებულია ნიშნით—„სოფლის მეურნეობის წარჩინებული", ნადეჟდა ბელთაძე, მარო ინგოროყვა, ნორა აფხაზავა, მარიამ აფხაზავა, მოხუცი კოლმეურნე ქალები—აღათი აფხაზავა, ეგე რუსაძე, გინატრე აფხაზავა და სხვ.

ახალგაზრდებს არ ჩამორჩებიან და ნამდვილი ფრონტული თავდადებით მუშაობენ ხანშესული კოლმეურნეები კოსტა რუსაძე, ვლადიმერ სალუქვაძე, ქრისტეფორე გუჯაბიძე, ვლადიმერ გოგიჩაიშვილი, ფილიპე რუსაძე, ნოე აფხაზავა და სხვ.

განსაკუთრებით კარგად მუშაობს ის ბრიგადა, რომლის წევრიც შენ იყავი. წელს ამ ბრიგადამ ჩაის პლანტაციების კარგი მოვლა-პატრონობისათვის და ერთწლიანი კულტურების დამუშავებაში წარმატებისათვის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო და იბრძვის იმისათვის, რათა ეს წითელი დროშა ხელიდან არ გაუშვას.

გასულ 1942 წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ კარგად იმუშავა. ჩვენ მზარდ დახმარებას ვუწევთ ფრონტს. სიტყვას გაძლევთ, რომ წელს უფრო უკეთესად ვიმუშავებთ და ფრონტზე მებრძოლ ჩვენს პატრიოტთა გმირობას ვუპასუხებთ ზურგში ფრონტული მუშაობის გაჩაღებით ყველა უბანზე.

საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდებით მთავრობის მიერ შენი დაჯილდოების სასიხარულო ცნობის მიღების აღსანიშნავად ჩვენი კოლმეურნეობის წევრები ერთსულოვნად ვკისრულობთ წელს ფრონტსა და ქვეყანას მივცეთ 118.300 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, თითოეულ ჰექტარ სიმინდის ნათესიდან მივიღოთ სულ ცოტა 18 ცენტნერი მოსავალი, გადაჯარბებით შეავასრულოთ მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდის, მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმები. თავდაცვის ფონდისათვის და წითელარმიელთა ოჯახების დასახმარებლად დათესილი ფართობებიდან უზრუნველვყოთ მაღალი სამხედრო მოსავლის მიღება, გადაჯარბებით შეავასრულოთ კოლმეურნეობის ყველა დავალება.

სტიყვას გაძლევთ, საამაყო თანასოფელო, რომ ჩვენი კოლმეურნეობა ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებს შენს სახელოვან გამარჯვებებს, პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან გმირ მებრძოლებს!

გაუმარჯოს წითელი არმიის გენიალურ მხედართმთავარს, ბრძენ ბელადს, ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს, საბჭოთა კავშირის მარშალს იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს!**

კოლმეურნეთა დავალებით: აკაკი მურვანიძე (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ნინო გოგიჩაიშვილი (პარტორგანიზაციის მდივანი), იასონ ტუღუში, შოთა ჩხარტიშვილი, აგრაფინა აფხაზავა, შუტუ რუსაძე, ნადია ბელთაძე, შალვა კვაჭაძე, ისაკი თოიძე, ისაკი აფხაზავა, ბათლომე ურუშაძე, აღათი აფხაზავა, ვარდენ დობორჯგინიძე, ფილიპე რუსაძე, მატრონე აფხაზავა, ირინე ჩხარტიშვილი, ლიდა ცომაია, ეგე რუსაძე, ფაცია აფხაზავა, მარო ინგოროყვა, ივანე აფხაზავა.

წერილი ოჯახიდან

საბჭოთა კავშირის გმირს სერჟანტ ნიკოლოზ ივანეს-ძე გოგიჩაიშვილს, რომელიც ამჟამად სამამულო ომის ერთ-ერთ ფრონტზე იბრძვის ჰიტლერელთა ურდოების გასანადგურებლად, მისი ოჯახის წევრებმა მიმართეს წერილით, რომელსაც ხელს აწერენ: საბჭოთა კავშირის გმირის ნ. გოგიჩაიშვილის მეუღლე ნინო გოგიჩაიშვილი, მშობლები — ნატო პეტრეს-ასული და ივანე ბეჟუას-ძე გოგიჩაიშვილები, გმირის შვილები — ციალა, ალიოშა, ლიდა და გრიგოლ გოგიჩაიშვილები.

წერილში ნათქვამია:

„გავიგეთ შენი დაჯილდოების ამბავი, რამაც ძლიერ გაგვახარა და აღგვაფრთოვანა. მეზობლები, მახლობლები და ნათესავები ყველანი გვილოცავენ ამ სასიხარულო ამბავს. შენი მოხუცი მშობლები ისე გახარებულნი არიან, რომ კაცი ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა ახალგაზრდული ხალისით მუშაობენ ბინი ახლა საკოლმეურნეო მინდვრებზე. დღეს, 8 ივლისს, ჩვენს სოფელში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელიც მიძღვნილი იყო შენთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებისადმი. ბევრი კარგი სიტყვა ითქვა ამ მიტინგზე შენს შესახებ. კოლმეურნეები, რომლებსაც შენ კარგად იცნობ, სიტყვას იძლეოდნენ, რომ შენს საბრძოლო საქმეებს აქ თავდადებული შრომით უპასუხებენ.

ოჯახში ყველანი კარგად ვართ. შენი ცოლი ნინო კვლავ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივნად მუშაობს. შენი უფროსი ვაჟი დათიკო, როგორც უკვე იცი, ფრონტზეა. მეზობლებიც კარგად არიან და დიდ მოკითხვას გითვლიან.

გადაეცი შმობლიური სალამი შენს თანამებრძოლ ამხანაგებს და უთხარი მათ, რომ ყველას გისურვებთ მალე გაგენადგურებინოთ სძულველი მტერი გერმანელი ფაშისტები და გამარჯვებულნი დაბრუნებოდეთ თქვენს ოჯახებს".

საბჭოთა კავშირის გმირის ნიკოლოზ გოგიჩაიშვილის ოჯახის წევრები. წინა რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ)—დედა — ნატო, მამა—ივანე, ცოლი — ნინო; დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) შვილი გრიგოლ, რძალი—ლიდა და შვილები—ალიოშა და ციალა.

გ. ცქიტიშვილი — საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

კომკავშირი უხვი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლაში

დიდი სამამულო ომის დღეებში საქართველოს კომუნისტი ახალგაზრდობამ, კომკავშირმა, პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით, გვიჩვენეს თავისი მზადყოფნა თავდადებულად იშრომონ ფრონტის დასახმარებლად, განუწყვეტლივ მიაწოდონ სახელოვან წითელ არმიას ნედლეული და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რათა დაჩქარდეს პირსისხლიანი მტრისა—ფაშისტი ავაზაკების განადგურება.

მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის მოწოდებას—მეოდინარე წელს უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის ახალგაზრდობის ლაშქრობის მოწყობის შესახებ—საქართველოს ახალგაზრდობა ფართოდ გამოეხმაურა. მოწოდების საფუძველზე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც 3.560 სასოფლო კომკავშირული ორგანიზაცია ჩაება. მთელი რიგი რაიონების ახალგაზრდობამ წარმატებით შეასრულა აღებული ვალდებულება. ამ მხრივ გამოირჩევიან გორის, გურჯაანის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ზესტაფონის, წულუკიძისა და ლაგოდეხის რაიონები.

დიდი მუშაობა გასწია კომკავშირმა მუშა-პირუტყვის გამოზამთრებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. ამ მიზნით ჩატარდა ერთთვიური, რომელშიც 32.800 კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა მონაწილეობდა. 12.000 ახალგაზრდა საქონლის ბინების შეკეთება-დათბუნებაზე მუშაობდა, ხოლო 10 ათასზე მეტი—საკვებით უზრუნველყოფისათვის, მუშა-პირუტყვის მოვლის საქმეში თავი ისახელა მოსწავლე ახალგაზრდობამ. მარტო ქუთაისის რაიონს მოსწავლეებმა შეფობის წესით მოუარეს 545 ხარს.

ახალგაზრდობამ თვალსაჩინო მუშაობა გასწია სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთებისა და დამზადებისათვის. მრავლად შეიქმნა მანქანა-იარაღების შემკეთებელი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები. თბილისის სამანქანო-სატრაქტორო სადგურთან შექმნილმა კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. გ. ბერიტაშვილი ხელმძღვანელობდა, ვადაზე 10 დღით ადრე შეაკეთა 5 ტრაქტორი, ამასთანავე შეაგროვა ტრაქტორის სხვადასხვა ნაწილები 13 ათასი, მანეთის ღირებულებისა. ჭიათურის რაიონში შექმნილი იყო მანქანა-იარაღების შემკეთებელი 35 ბრიგადა 325 ახალგაზრდის შემადგენლობით. ამ ბრიგადებმა შეაკეთეს 753 ძველი და დაამზადეს 131 ახალი კაკი. მაიაკოვსკის რაიონის ახალგაზრდობამ 201 ურემი, 136 კაკი და 3 ტრაქტორი შეაკეთა.

ახალგაზრდობამ დიდი დახმარება გაუწია კოლმეურნეობებს ახალი სათესი ფართობების ათვისების საქმეში. ახალათვისებულ ფართობებზე კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდობამ წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობისა და ფრონტელთა ბავშვების დახმარების ფონდისათვის მარცვლეული დასთესეს. არასრული ცნობებით, დათესილია 3.000 ჰექტარამდე ფართობი.

მთელი რიგი კარგი წამოწყება და თაოსნობა, რასაც კომკავშირული ორგანიზაციები ანხორციელებენ სოფლად, მოწმობს, რომ მათ სამამულო ომის ვითარების შესაბამისად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა. გურჯაანის, რაიონის სოფ. შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციაში (მდივანი ი. კოლოტაძე) 22 კომკავშირელი ირიცხება, ისინი ფიზიკურად მუშაობენ კოლმეურნეობაში და ყველანი სტახანოველები არიან. კომკავშირი ღრმად სწვდება წარმოების საკითხებს. აქეტრმა კომკავშირელებმა დაასუფთავეს და დეზინფექცია გაუკეთეს ბეღლებს, გასწმინდეს ჭალეები, შეაკეთეს გზა 8 კილომეტრზე, აღსანიშნავია ქალაქ ბათუმის საწარმო-დაწესებულებათა კომკავშირელების ინიციატივა. ისინი ყოველ გამოსასვლელ დღეს გადიან საკოლმეურნეო ფართობებზე და ეხმარებიან კოლმეურნეობებს მუშაობაში.

გურჯაანის რაიონში შექმნილია მოსავლის ასაღები მანქანა-იარაღების შემკეთებელი კომკავშირულ - ახალგაზრდული ბრიგადები. ახალგაზრდობამ წესრიგში მოიყვანა 45 საწყობი და ბეღელი, გააკეთა 95 ფარდული, რაიონის 75 კოლმეურნეობასთან ჩამოყალიბდა კომკავშირული საგუშაგოები, რომლებიც მეთვალყურეობას გაუწევენ იმას, რომ მოსავლის აღების პერიოდში ადგილი არ ექნეს მარცვლეულის დაკარგვისა და დატაცების შემთხვევებს.

მაგრამ კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდობა ყველგან როდი იჩენენ ასეთ მონდომებასა და პასუხისმგებლობას. სუსტად მუშაობს ამ მხრივ თბილისის რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია. საგარეჯოს რაიონის მარქლის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის საერთო კრებებზე იშვიათად ისმება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის საკითხი. მრავალი კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა ჩაბმული არ არის მინდვრის სამუშაოებში. თვით კომიტეტის მდივანიც არ მუშაობს კოლმეურნეობაში.

ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია მარტო ვალდებულების აღებით კმაყოფილდება. ახალსოფლის, შინდისის, რუისის, თიანეთის, ახმეტისა და ბაშკიჩეთის მტს-ების კომკავშირული ორგანიზაციები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და აიღეს ვალდებულება დახმარებოდნენ მტს-ებს მოსავლის ასაღები მანქანა-იარაღების თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შეკეთებაში, ბრიგადებიც შეჰქმნეს, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიიყვანეს. დასახელებულ მტს-ებს ივნისის დამლევისათვის არც ერთი კომბაინი არ ჰქონიათ რემონტიდან გამოშვებული.

უხვი სამხედრო მოსავლისათვის ბრძოლა კომკავშირელებისა და კავშიგარეშე ახალგაზრდობის საბრძოლო ამოცანას შეადგენს. გასული წლის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ზოგიერთ რაიონში გაჭიანურდა მოსავლის აღება, რამაც გამოიწვია მარცვლეულის ხარისხის დაცემა და მნიშვნელოვანი დანაკარგები. მიმდინარე წელს ეს აღარ უნდა განმეორდეს. ამ საქმეში კომკავშირმა უნდა გამოიჩინოს მისთვის ჩვეული თაოსნობა და უნარი.

საკოლმეურნეო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა პარტიულ ორგანიზაციებთან და კოლმეურნეობების გამგეობებთან ერთად სისტემატიურად უნდა განიხილონ მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი, მასში ახალგაზრდობის მონაწილეობა, დასახონ ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის, პერიოდულად მოახდინონ ამ ღონისძიებათა შესრულების შემოწმება, იბრძოლონ მათი განხორციელებისათვის. ამ საქმეში პირველადს ორგანიზაციებს ოპერატიულ ხელმძღვანელობას და ყოველდღიურ დახმარებას უნდა უწევდეს კომკავშირის რაიკომები.

დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდებათ ჩაისა და ციტრუსების რაიონების კომკავშირულ ორგანიზაციებს. ციტრუსოვანი რაიონების კომკავშირელებმა თავიანთ მუშაობას საფუძვლად უნდა დაუდონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილება ციტრუსების პლანტაციების მოვლა-პატრონობისა და აღდგენის შესახებ. დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს პლანტაციებში, კოლმეურნეთა საკარშიდამო ნაკვეთებზე და ერთპიროვნულ მეურნეთა ნაკვეთებზე დახიანებული ციტრუსების აღდგენაში, სანერგე მასალის მომზარდებაში.

ამ მხრივ შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს ბათუმის რაიონის სოფ. ხელვაჩაურის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა. მათ მიიღეს მიმართვა აჭარის სუბტროპიკული რაიონების კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისადმი ციტრუსოვანი ნარგავების სანიმუშოდ მოვლისა და უხვი სამხედრო მოსავლის მიღების შესახებ. ხელვაჩაურელებმა იკისრეს სანიმუშოდ მოუარონ 7.000 ძირ ციტრუსის ნარგავს, პლანტაცია გათოხნონ ოთხჯერ, ამდენჯერვე ჩაატარონ გამოცელვა, თითოეული მსხმოიარე მანდარინის ნარგავიდან მიიღონ 450 ცალი ნაყოფი, ლიმონის ნარგავიდან — 350 ცალი, ფორთოხლიდან—400 ცალი, პლანტაციის გასანაყოფიერებლად დაამზადონ 150 ტონა ორგანული სასუქი, მოამზადონ 4.000 კონა შესაფუთი მასალა, 5.000 სარი, ნარგავების შეფუთვა დაამთავრონ 1 დეკემბრამდე. ხელვაჩაურელთა ამ ინიციატივას ფართოდ უნდა გამოეხმაუროს საქართველოს ციტრუსოვანი რაიონების ახალგაზრდობა.

ფართოდ უნდა გამოეხმაუროს საქართველოს კოლმეურნე ახალგაზრდობა სარეველა ბალახების წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის საქმეში პენზის ოლქის კოლმეურნე ახალგაზრდობის, მოსწავლეებისა და პიონერების ინიციატივას, რომელსაც მიესალმა ამხ. კალინინი მათდამი გაგზავნილ თავის წერილში.

სოფლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ამ გადამწყვეტ დღეებში კიდევ უფრო უნდა აამაღლონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნე ახალგაზრდობაში. ეს მუშაობა ახლა უფრო მოქნილი და ოპერატიული უნდა გახდეს. სისტემატურად უნდა ტარდებოდეს საუბრები საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში, ყოველმხრივ დაეხმარონ კიდლისა და საველე გაზეთებს მუშაობაში, მოწინავეთა გამოცდილების ჩვენებაში. ქოხ-სამკითხველოებმა და კლუბებმა მოსავლის აღების დღეებში მთელი თავიანთი მუშაობა საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში უნდა გადაიტანონ. კოლმეურნეები მათი საშუალებით სისტემატურად უნდა ეგებულობდეს ცენტრალურ გაზეთებს, ეცნობოდნენ ახალ ამბებს. ამ საქმეში ქოხ-სამკითხველოებსა და კლუბებს ყოველმხრივ და აქტიურად უნდა დაეხმარონ კომკავშირული ორგანიზაციები.

საქართველოს კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდობა, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით, მობილიზაციას გაუკეთებენ მთელ თავის ძალებს, ყველაფერს გააკეთებენ ფრონტის დასახმარებლად, დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განსახორციელებლად.

ᲓᲐᲣᲚᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲣᲮᲕᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓ ᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თივა ავიღოთ დროზე და უდანაკარგოდ

თელავი („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონის, კოლმეურნეობებში გაცხოველებით მიმდინარეობს თივის აღება; თივა უკვე აღებულია 350-ზე მეტ ჰექტარზე. თივის აღებასთან ერთად სწარმოებს საქონლის სანათესრო სადგომებთან მისი მიტანა და დაზვინვა.

კონდოლის კოლმეურნეობამ დროულად ჩამოაყალიბა მთიბავთა ბრიგადა 15 კაცის შემადგენლობით. ბრიგადას ხელმძღვანელობს აქტიური კოლმეურნე კოტე ნაწიფაშვილი. ბრიგადამ უკვე გათიბა და დაზვინა 37 ურემი თივა. ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მთიბავთა ბრიგადაში 21 კოლმეურნე ირიცხება. მთიბავები გალაქტიონ ბახსოლიანი და გალო ლარცულიანი თიბვის დღიურ დავალებას 200 პროცენტით ასრულებენ. თივის შეგროვება-დახულულებაზე საუკეთესოდ მუშაობს კეკა შავერდაშვილი. ამ კოლმეურნეობაში თივის შეგროვება-დაზვინვაზე ღამეც კი მუშაობენ. 19 ივნისს ღამით შაქრო ღვარძლაშვილმა, გოგია უალიმვალმა და ილია ნაწიფაშვილმა ერთ ურემში თივა შეაგროვეს. ბრიგადამ უკვე გათიბა და ადგილზე დაზვინა 20 ტონა თივა. ანალოგიურ წარმატებით მიმდინარეობს თივის აღება სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში—თივა აღებულია 35 ჰექტარზე, იყალთოს კოლმეურნეობებში თივა აიღეს 17 ჰექტარზე, ყარაჯალის კოლმეურნეობებში—35 ჰექტარზე, ქისტაურის ეროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში—12 ჰექტარზე.

მაგრამ ასე როდი მუშაობენ ყველა კოლმეურნეობაში. საქონლის საკვების აღებისა და დამზადების საქმეში სამარცხვინოდ ჩამორჩენენ სოფ. ფშაველის და ნიფარეულის კოლმეურნეობები. საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ბიუროს 27 ივნისს განიხილა საკითხი რაიონში თივის აღებისა და დამზადების მიმდინარეობის შესახებ და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

გ. ცხადაძე

ᲩᲐᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ

ტყიბული („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონის მეჩაიე კოლმეურნეობები კვლავ ახალ წარმატებებს აღწევენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში. გეგმის გადამეტებით მაისსა და ივნისში მოკრეფილ იქნა 46 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. კერძოდ, ივნისის გეგმა 130,2 პროცენტით შესრულდა.

რაისაბჭოს გარდამავალი დროშის მიღების უფლება მოიპოვა დაბაზეულის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. გეენეტაძე), რომელმაც 182 პროცენტით გაანაღდა ჩაის კრეფის დარგში სოციალისტური ვალდებულებანი. ჩაის კრეფის გეგმები ივნისში 120 პროცენტზე მეტად შეასრულეს ავრეთვე სოფ. ციხოს, მაზარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. გეეტაძე) და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა. ტყიბულის კოლმეურნეობები წელს სახელმწიფოს მისცემენ 1 მილიონამდე კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს.

დ. საბელაშვილი

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲗᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ

ფოთი („კომუნისტის" საკ. კორ.). წელს უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეობებმა ვადაზე 6 დღით ადრე მაღალხარისხოვნად დაამთავრეს სიმინდის პირველი თოხნა 707,1 ჰექტარზე.

მაღალი მოსავლის მიღებისათვის მებრძოლური თავდადებით მუშაობენ ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრები. ამ კოლმეურნეობამ წელს დასთესა 292,5 ჰექტარი, დროულად და მაღალხარისხოვნად ჩაატარა მარგვლა. ამჟამად კოლმეურნეობაში გაცხოველებით მიმდინარეობს სიმინდის მეორე თოხნა, თოხნაში თავი ისახელეს აბიბო მირცხულავამ და სარა თოდუამ ბრიგადებმა. კოლმეურნეები ი. თოდუა, ს. ჭავჭავაძე, ზ. ბეალავა, ი. როლოგავა დღიურ ნორმებს 150 და ხშირად 200 პროცენტით ასრულებენ.

ნათესების კარგად დამუშავებით გამოირჩევიან მახარაძის სახელობისა და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობები, ამ კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს სიმინდის პირველი თოხნა და ახლა ნათესებს მეორედ თოხნიან. კოლმეურნეობაში ცარგი მუშაობის მაგალითებს იძლევიან ბრიგადირები ნ. როყვა და თ. აფხაზავა, კოლმეურნე ქალები ა. ადეიშვილი, თ. მექვაბიშვილი და სხვ. ისინი თოხნის დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

რაიონის კოლმეურნეობებში ახლა მასიურად არის გაჩაღებული სიმინდის მეორე თოხნა. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას მეორედ გათოხნილი აქვს ნათესების 56 პროცენტი.

ვ. გუჯაბიძე

ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

წალენჯიხის რაიონის შრომელებმა 30 ივნისს მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმის ვადაზე 6 თვით ადრე შესრულებასთან ერთად შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების წლიური გეგმებიც, სახელდობრ: ხორცისა, რძის პროდუქტებისა, კვერცხისა და ტყავის დამზადებისა.

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი ა. ᲙᲕᲘᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ

ᲓᲔᲙᲐᲛᲔᲠᲝᲜᲘ

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 9 ივლისი (საკდესი), როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 8 ივლისს ღამით ინგლისის ბომბდამშენებმა მოახდინეს 119-ე სასტიკი თავდასხმა კელნზე. ამავე დროს გამანადგურებელმა ავიაციამ იერიში მიიტანა მტრის აეროდრომებსა და რკინიგზის ობიექტებზე საფრანგეთში და ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში.

ხმელთაშუა ზღვის მხარეში მოკავშირეთა ბომბდამშენები 7 ივლისს ღამით და 8 ივლისს დღისით განაგრძობდნენ თავდასხმებს სიცილიაზე. მიწაზე და საჰაერო ბრძოლებში მოსპობილია მტრის ბევრი თვითმფრინავი.

გაფიცვა ბოლონიის სამხედრო ქარხანაში

ლონდონი, 9 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, ბოლონიის (ჩრდილოეთი იტალია) ერთ-ერთ სამხედრო ქარხანაში გაფიცვამ იფეთქა. გაფიცულები შეუპოვარ უარზე არიან შეუდგნენ მუშაობას.

იტალიის ფაშისტური პარტიის რიცხვის შემცირება

ლონდონი, 9 ივლისი (საკდესი). იტალიის ფაშისტურ პარტიაში არსებულ შეშფოთებასა და დაჩსაჭსულობას მოწმობს პარტიიდან მასობრივი გასვლა, აგრეთვე გარიცხვა „ფაშისტური მოვალეობის ღალატისათვის", „გამარჯვების რწმენის უქონლობისათვის", „დამარცხების მოიმხრეობის სულისკვეთებისათვის და სხვ.

როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, იტალიის ფაშისტური პარტიის მდივანმა სკორცამ განაცხადა, რომ უკანასკნელ წელს ფაშისტური პარტიის მამაკაც წევრთა რიცხვი 300.000 კაცით შემცირდა.

უცხოეთის ქრონიკა

25 ივნისს ათენში გამოცხადდა საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა საბერძნეთში ჰიტლერელთა მხეცობის წინააღმდეგ. ქალაქში მოხდა შეტაკებანი მოსახლეობასა და ხაკუპაციო ჯარებს შორის.

მასობრივი დემონსტრაციები მოხდა აგრეთვე საბერძნეთის სხვა ქალაქებში.

* * *

ვიშის რადიომ გამოაცხადა, რომ ყველა ფრანგი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გაგზავნილი გერმანიაში, შრომის ბიგრის მოსახდელად, საფრანგეთში იქნება ჩაბმული საველდებულო სამუშაოებში.

* * *

ა. შ. შტატებში წარმატებით იყენებენ პლასტმასებს, რომლებიც სცვლის მწვავედფიციტურ მასალებს. პლასტმასებს უკვე იყენებენ თვითმფრინავთა და გემთა მშენებლობაში. ამასთან პლასტმასები სცვლის არა მარტო ლითონებს, არამედ ხესაც, მინას და

სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

12 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) შესდგება ზოოლოგიის ინსტიტუტის საჯარო სხდომა, რომელიც მიძღვნილია ჭრილობათა შეხორცების მაკრომორფოლოგიისა და ბიოლოგიის საკითხებისადმი. დღის წესრიგი: 1) **შ. ᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — ჭრილობათა შეხორცების შესწავლის მეთოდოლოგიისათვის; 2) **ბ. ᲖᲐᲜᲢᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — ჭრილობათა შეხორცების ტიპიური და დაჩქარებული პროცესის მაკრომორფოლოგიის შედარებითი შესწავლის ზოგიერთი შედეგი; 3) **ა. ᲡᲐᲓᲝᲕᲡᲙᲘ**—კანის ჭრილობათა შეხორცების დინამიკისათვის; 4) **ა. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ**—ზოგიერთი მონაცემი ემბრიონული სისხლის გავლენის შესახებ ჭრილობათა შეხორცებაზე; 5) **ნ. ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠᲝᲕᲐ**—„პლაცენტის გავლენა კანის ჭრილობათა შეხორცებაზე".

თეატრებში

მუსიკალური კომედიის—10 ივლისს—„არშინ-მალ-ალან", 11 ივლისს — დღისით—„არშინ-მალ-ალან", საღამოს—„ოქროს გასაღები".
სანკულტურის—10 ივლისს — „ბრმა მუსიკოსი", 11 ივლისს—„უნიადაგონი".

კინოებში

რუსთაველის სახ. და **ოქტომბერი** — „ტაჯიკეთის შვილი", **დამკვრელი** — „მსახიობი ქალი", **კომკავშირელი, სპარტაკი** და **ლუსემბურგის სახ.**—„უძლეველნი", **26 კომ. სახ.** —„ანტოშა რიბკინი", **კომინტერნი**—„ბოგდან ხმელნიცკი", **განთიადი**—„სიმღერა სიყვარულზე", **ორჯონიკიძის სახ. პარკი**—„გიორგი საკაძე", **მეცნიერება და ცოდნა**—„ალექსანდრე პარხომენკო", **ბერიას სახ. კულტურის სახლი**—„ომის ერთი დღე".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ᲮᲐᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 20 ივლისს, დღის 1 საათზე, მედინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ.№ 16) შესდგება საბჭოს სხდომა, რომელზეც მედიცინის მეცნიერებათა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებ